

მოხმარების ინსტრუქცია
SABRIL-ის 500 მილიგრამიანი გარსიანი აბები

მიიღება ორალური გზით.

SANOFI

- **ეფექტური ნივთიერება**: თითოეული გარსიანი აბი შეიცავს 500 მილიგრამ ვიგაბატრინს.
- **დამხმარე ნივთიერებები**: პოლივინილპიროლიდონი, მიკროკრისტალინის ცელულოზა, ნატრიუმის სახამებლის გლიკოლატი, მაგნიუმ სტეარატი, ჰიდროქსიპროპილ მეთილ ცელულოზა, ტიტანის დიოქსიდი, პოლიეთილენ გლიკოლი 8000.

ამ პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე ყურადღებით წაიკითხეთ მოხმარების ინსტრუქცია, ვინაიდან ის შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას.

- შეინახეთ წინამდებარე მოხმარების ინსტრუქცია. შემდგომში შეიძლება დაგჭირდეთ მისი ხელახლა წაკითხვა.
- დამატებითი კითხვების წარმოქმნის შემთხვევაში, მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.
- ვინაიდან წინამდებარე პრეპარატი პირადად თქვენთვის არის გამოწერილი, სხვა პირებისთვის მისი მიცემა დაუშვებელია.
- წინამდებარე პრეპარატის მოხმარებისას ექიმთან ან ფარმაცევტთან მიმართვის დროს, აუცილებლად აცნობეთ თქვენს ექიმს ამ პრეპარატის მიღების შესახებ.
- დაიცავით წინამდებარე მოხმარების ინსტრუქციაში აღნიშნული წესები. ექიმის მიერ დანიშნული დოზის გადაჭარბება ან შემცირება დაუშვებელია.

<u>წინამდებარე მოხმარების ინსტრუქციაში მოცემულია ქვემოთ აღნიშნული სათაურები</u>:

1. რას წარმოადგენს SABRIL და რისთვის გამოიყენება?
2. რას უნდა მიაქციოთ ყურადღება SABRIL-ის მოხმარების დაწყებამდე?
3. როგორ უნდა მოიხმაროთ SABRIL?
4. რა სახის გვერდითი ჩვენებები შეიძლება წარმოიქმნას?
5. SABRIL-ის შენახვის წესები.

1. რას წარმოადგენს SABRIL და რისთვის გამოიყენება?

SABRIL მიიღება ორალური გზით. ამ პრეპარატის ყოველ კოლოფში მოთავსებულია 500 მილიგრამ ვიგიტაბინის შემცველი 100 ცალი გარსიანი აბი.

ბაზარზე პრეპარატი წარმოდგენილია პაკეტის სახით.

SABRIL წარმოადგენს ეპილეფსიის დროს გამოსაყენებელ (ანტიეპილეპტიკურ) პრეპარატს.

ქვემოთ აღნიშნულ შემთხვევებში თქვენი მკურნალი ექიმი მკურნალობის მიზნით SABRIL-ს:

- თქვენს მიერ მოხმარებული სხვა პრეპარატებით სასურველი შედეგის მიუღებლობის ან ამ პრეპარატების მიმართ პაციენტის აუტანლობის არსებობის შემთხვევაში, საჭიროა ეპილეფსიის დაავადების მკურნალობისათვის გამოყენებული ანტიეპილეპტიკური პრეპარატის მიღება.
- გამოიყენება ბავშვობაში გადატანილი ეპილეფსიის შედეგად ინფანტილური ვპაზმების (ვესტის სინდრომის) მკურნალობისათვის.

2. SABRIL-ის მოხმარებამდე დასაცავი წესები

ქვემოაღნიშნულ შემთხვევებში SABRIL-ის მიღება არ არის რეკომენდირებული:

- ვეგაბატრინის ან ამ პრეპარატის შემცველობაში არსებული ნებისმიერი სხვა ნივთიერების მიმართ ალერგიის არსებობის შემთხვევაში, ამ პრეპარატის მიღება არ არის რეკომენდირებული.

ქვემოაღნიშნულ შემთხვევებში SABRIL-ის მიღების დროს უნდა გამოიჩინოთ ყურადღება:

- ბავშვის ძუძუთი კვების შემთხვევაში.
- ფეხმძიმობის ან ფეხმძიმობის დაგეგმვის შემთხვევაში.
- თირკმელებთან დაკავშირებული პრობლემების არსებობის შემთხვევაში.

თირკმელების ფუნქციების შესამოწმებლად შესაძლებელია ტესტირების ჩატარება და ნევროლოგიური/ფსიქოლოგიური გამოკვლევის ჩატარება.

- ფსიქიკური ან ნერვიული პრობლემების (ფსიქიკური ან ნერვიული დაავადების) არსებობის შემთხვევაში, ამ პრეპარატის მიღების დროს საჭიროა დიდი ყურადღების გამოჩენა, ვიგაბატრინის მაგვარი ანტიეპილეპტიკური პრეპარატების მიმღებ ზოგიერთ პაციენტებს აღენიშნებოდათ საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების და თვითმკვლელობის მცდელობის შემთხვევები. თუ თქვენ თავში მოგსვლიათ მსგავსი აზრები, კონსულტაციისთვის დაუყოვნებლივ მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს.
- მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემების არსებობის შემთხვევაში,
- SABRIL-ის მიღების პერიოდში შეიძლება წარმოიქმნას მხედველობის დაკარგვის (მხედველობის არის ნაპირების დანახვის უნარის დაკარგვის) მაგვარი ჩვენება. პრეპარატის მიღების დაწყებამდე კონსულტაციისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს. მხედველობის სამუდამოდ დაკარგვის ალბათობის არსებობის გამო, საჭიროა დიაგნოზის დროულად დასმა. პრეპარატის მიღების შეწყვეტის შემდეგ, მხედველობის არის დაკარგვის საკითხის იგნორირება დაუშვებელია. მხედველობასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში, ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს. სიტუაციის გასაკონტროლებლად, თქვენი მკურნალი ექიმი გირჩევთ თვალის გამოკვლევების პერიოდულად ჩატარებას.

ინფანტილური სპაზმების (ვესტის სინდრომის) მკურნალობის დროს ახალშობილებში აღინიშნებოდა მოძრაობების დარღვევის შემთხვევები. ბავშვობაში მოძრაობის მოულოდნელი დარღვევების არსებობის შემთხვევაში, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს. საჭიროების შემთხვევაში, თქვენი მკურნალი ექიმი შეგიცვლით მკურნალობის მეთოდს.

უძილობის, აზროვნების და მოძრაობის უნარიანობის დაქვეითების (გაშეშების ან გონების გაფანტვის (კონფუზიის) მაგვარი სიმპტომების წარმოქმნის შემთხვევაში, კონსულტაციისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს. თქვენმა მკურნალმა ექიმმა შეიძლება გაგიზარდოთ ან შეგიმციროთ პრეპარატის დოზა.

თუ ეს გაფრთხილებები წარსულშიც ძალაში იყო თქვენთვის, რჩევისათვის მიმართეთ თქვენს ექიმს.

SABRIL-ის საკვებ-სასმელთან ერთად მიღება

დასაშვებია SABRIL-ის საკვებ-სასმელთან ერთად მიღება. SABRIL-ის საკვებ-სასმელთან ერთად მიღების დროს რაიმე ჩვენებების წარმოქმნის შემთხვევები არ არის ცნობილი. საკვები გავლენას არ ახდენს SABRIL-ის გაწოვაზე.

ფეხმძიმობა

პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე რჩევისთვის მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.
ნაყოფზე გავლენის მოხდენის პოტენციური რისკის არ არსებობის შემთხვევაში, ფეხმძიმობის პერიოდში SABRIL-ის მიღება არ არის რეკომენდირებული.
ფეხმძიმედ ყოფნის, პრეპარატის მიღების დროს ფეხმძიმედ დარჩენის ან პრეპარატის მიღების პერიოდში დაგეგმავთ ფეხმძიმედ დარჩენას, რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს.
თუ მკურნალობის დროს თქვენ მიხვდებით, რომ ხართ ფეხმძიმედ, დაუყოვნებლივ რჩევისთვის მიმართეთ თქვენს ექიმს.

ძუძუთი კვება

პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე რჩევისთვის მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.
ვიგაბატრინი მცირე კონცენტრაციით აღწევს დედის რძეში. ამიტომ, ამ პრეპარატის მიღების დროს დედამ უნდა შეწყვიტოს ბავშვის ძუძუთი კვება ან მიიღოს გადაწყვეტილება SABRIL-ის მიღების შეწყვეტის შესახებ. თქვენი მკურნალი ექიმი შეაფასებს თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას და მიიღებს გადაწყვეტილებას ბავშვის ძუძუთი კვების პერიოდში SABRIL-ის მიღების გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ.

მანქანის ტარება და ხელსაწყოს მოხმარება

როგორც წესი, ეპილეფსიის შეტევების მქონე პაციენტებისათვის მანქანის ტარება და ხელსაწყოს მოხმარება არ არის რეკომენდირებული.
კლინიკური კვლევების შედეგად დადგენილი იქნა, რომ SABRIL-მა შეიძლება გამოიწვიოს დაბუჟება. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევებში SABRIL აგრეთვე იწვევს მხედველობის მოშლას.
SABRIL-ის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს გავლენა მანქანის ტარების უნარიანობაზე და მხედველობაზე. ზემოაღნიშნული სიმპტომების წარმოქმნის შემთხვევაში, მანქანის ტარება და ხელსაწყოების მოხმარება არ არის რეკომენდირებული. მხედველობის არესთან დაკავშირებით თქვენი მეთვალყურეობისათვის, თქვენმა მკურნალმა ექიმმა შეიძლება მოითხოვოს თვლის გამოკვლევის რეგულარულად ჩატარება.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია SABRIL-ის შემცველობაში არსებული ზოგიერთი დამხმარე ნივთიერებების შესახებ

SABRIL-ის შემადგენლობაში არსებული დამხმარე ნივთიერებების მიმართ ჰიპერმგრძნობელობის არსებობის შემთხვევაში, ამ ნივთიერებებით რაიმე უარყოფითი ეფექტი არ არის მოსალოდნელი.

სხვა წამლებთან ერთად მოხმარება

ვიგაბატრინის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებით გამოწვეული ჩვენება საკმაოდ მცირეა.

ანტიეპილეფტიურ პრეპარატთან - ფენიტოინთან ერთად SABRIL-ის მიღების დროს, საჭიროა დიდი ყრუადღების გამოჩენა.

ამ პრეპარატის თვალთან დაკავშირებული პრობლემების გამომწვევ პრეპარატებთან ერთად მიღება არ არის რეკომენდირებული.

ამჟამად რეცეპტით გამოწერილი ან არ გამოწერილი ნებისმიერი პრეპარატის მოხმარების ან ბოლო პერიოდის განმავლობაში მოხმარების შემთხვევაში, ამის შესახებ აცნობეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

3. SABRIL-ის მოხმარების წესი

ინსტრუქციები სათანადო მოხმარების და დოზის / მოხმარების სიხშირის შესახებ:
ცალკე რეკომენდაციების გაცემამდე, დაიცავით ექიმის რეკომენდაციები.

თქვენი მკურნალი ექიმი მოგაწოდებთ ინფორმაციას აღნიშნული პრეპარატის დღიური დოზის

თქვენი მკურნალი ექიმის მიერ აღნიშნული პრეპარატის მიღება რეკომენდირებულია ქვემოთ მოცემული წესით:

მოზარდების შემთხვევაში:
თქვენმა მკურნალმა ექიმმა საწყის ეტაპზე შეიძლება დაგინიშნოთ დღეში 1 გრამ SABRIL-ზე 2 ბლისტერი ვიგაბატრინის დამატება.

საჭიროების შემთხვევაში, თქვენმა მკურნალმა ექიმმა შეიძლება ყოველდღიური დოზა ყოველკვირეულად გაზარდოს ან შეამციროს 500 მილიგრამით (SABRIL-ის 1 გარსიანი აბი) მკურნალობის შედეგების შესაბამისად.

ამ პრეპარატის მაქსიმალური ეფექტი აღინიშნება დღეში 2-3 გრამიანი (SABRIL-ის 4-6 გარსიანი აბი) დოზის მიღების შემთხვევაში. დღეში 3 გრამზე მეტი დოზის მიღება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გვერდითი ჩვენებების მონიტორინგის ჩატარების გზით.

ბავშვების შემთხვევაში:
საწყისი დოზის სახით პაციენტის წონის თითო კილოგრამზე რეკომენდირებულია 40 მილიგრამის მიღება. მაგალითად, თუ თქვენი ბავშვი იწონის 25 კილოგრამს, ექიმმა შეიძლება გამოუწეროს დღეში 1000 მილიგრამი (SABRIL-ის 2 გარსიანი აბი) ვიგაბატრინის მიღება.

დამხმარე დოზის სახით თქვენს ბავშვს მისი წონის მიხედვით შეიძლება დაენიშნოს ქვემოთ აღნიშნული დოზები:

სხეულის წონა დოზა

10-15 კილოგრამი	დღეში 0,5 – 1 გრამი (SABRIL-ის 1-2 გარსიანი აბი);
15-30 კილოგრამი	დღეში 1 - 1,5 გრამი (SABRIL-ის 2-3 გარსიანი აბი);˜
30-50 კილოგრამი	დღეში 1,5 - 3 გრამი (SABRIL-ის 3-6 გარსიანი აბი);
> 50 კილოგრამი	დღეში 2 - 3 გრამი (SABRIL-ის 4-6 გარსიანი აბი);

დღეში 3 გრამზე მეტი დოზების მიღება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გვერდითი ჩვენებების მონიტორინგის ჩატარების გზით.

ეპილეფსიის (ვესტის სინდრომის) მქონე ჩვილი ბავშვების მხოლოდ ერთი პრეპარატით მკურნალობის ჩატარების დროს:
საწყისი დოზა თითო კილოგრამზე შეადგენს 50 მილიგრამს. მაგალითად, თუ თქვენი ბავშვი იწონის 30 კილოგრამს, ექიმმა შეიძლება გამოუწეროს დღეში 1500 მილიგრამი (SABRIL-ის 3 გარსიანი აბი) ვიგაბატრინის მიღება.
თითო კილოგრამზე ყოველდღიურო დოზა შეიძლება გაიზარდოს მაქსიმუმ 150 მილიგრამამდე.
მკურნალობის შედეგი ძირითადად მიიღება ორი კვირის შემდეგ.

მოხმარების ხერხი და მეთოდი
SABRIL მიიღება ორალური გზით.
SABRIL შეგიძლიათ დაალევინოთ თქვენს ბავშვს დღეში ერთხელ ან ორჯერ უზმოზე ან ჭამის შემდეგ.

სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები:
ბავშვების მიერ მოხმარება:
ბავშვისათვის SABRIL-ის მიღება დასაშვებია ეპილეფსიის დაავადების არსებობის შემთხვევაში, ჩვილი ბავშვებისათვის კი ინფანტილური სპაზმების არსებობის შემთხვევაში.

ხანდაზმული პირების მიერ მოხმარება:
ხანდაზმული პირებისათვის შეიძლება საჭირო გახდეს დოზის დარეგულირება. უძილობის და გონების გაფანტულობის მქონე ხანდაზმული პაციენტები რეგულარულად უნდა იმყოფებოდნენ მეთვალყურეობის ქვეშ. ხანდაზმულ პაციენტებს დაბალ დოზაზეც კი შეიძლება წარმოექმნათ გარკვეული ჩვენებები. ხანდაზმულმა პაციენტებმა აღნიშნული პრეპარატი უნდა მიიღონ ექიმის მიერ დანიშნული დოზით.

მოხმარების განსაკუთრებული შემთხვევები:
თირკმელების / ღვიძლის უკმარისობა:
ვიგაბატრინი გამოიყოფა თირკმელებიდან. თირკმელების ფუნქციების დარღვევის შემთხვევაში, SABRIL-ის დოზა დადგენილი უნდა იქნეს ექიმის მიერ, რომელმაც უნდა ჩაატაროს პაციენტის რეგულარული მეთვალყურეობა.

თქვენი მკურნალი ექიმი გაცნობებთ თქვენთვის საჭირო დოზას. პრეპარატის მიღების ნაადრევად შეწყვეტა არ არის რეკომენდირებული, ვინაიდან ნაადრევმა შეწყვეტამ შეიძლება გამოიწვიოს ეპილეფსიური შეტევები.

თუ თქვენ შეამჩნევთ SABRIL-ის ძლიერ ან სუსტ ეფექტს, მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

თუ თქვენ ღებულობთ SABRIL-ს საჭიროზე დიდი დოზით:

თუ თქვენ ღებულობთ SABRIL-ს საჭიროზე დიდი დოზით, რჩევისთვის მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

ჭარბი დოზის მიღების შემთხვევაში, ხშირ შემთხვევებში შეიძლება წარმოიქმნას ისეთი გვერდითი ჩვენებები, როგორიცაა დაბუჟება ან კომა, იშვიათ შემთხვევებში თავბრუსხვევის შეგრძნება, თავის ტკივილი, ფსიქოზი, სუნთქვის გაძნელება ან სუნთქვის უკმარისობა, გულისცემის რითმის მკვეთრად შემცირება, წნევის დაცემა, შეტევა, უხასიათობა, გონების გაფანტვა და არაადეკვატური ქცევები და მეტყველება.

თუ თქვენ დაგავიწყდათ SABRIL-ის მიღება
დავიწყებული დოზის გამოტოვების შემთხვევაში, საჭიროა დავიწყებული დოზის მიღება.
მიუღებელი დოზის ანაზღაურების მიზნით ორმაგი დოზის მიღება დაუშვებელია.

SABRIL-ის მიღების დასრულების შემდეგ მოსალოდნელი ჩვენებები:
თქვენს მკურნალ ექიმთან კონსულტაციის გარეშე, SABRIL-ის მიღების შეწყვეტა არ არის რეკომენდირებული.
ისევე, როგორც სხვა ანტიეპილეფტიკურ პრეპარატებთან მიღების დროს, ამ პრეპარატის მიღების უცბად შეწყვეტამ შეიძლება გამოიწვიოს კრუნჩხვების ხელახლა წარმოქმნა (გამეორების ეფექტი).

ვიგაბატრინის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, თქვენი მკურნალი ექიმი დაგინიშნავთ 2-დან 4 კვირამდე ვადით დოზის შემცირებას.

4. როგორია შესაძლებელი გვერდითი ჩვენებები?
ისევე, როგორც ყველა წამალი, SABRIL-ის მიმღებ ზოგიერთ პაციენტებს შეიძლება წარმოექმნათ გვერდითი ჩვენებები.
ისევე, როგორც ეს ხდება სხვა პრეპარატებთან მიღების დროს, ეპილეფსიის მკურნალობის პერიოდში ამ პრეპარატის მიღების დროს ზოგიერთ პაციენტებს შეიძლება წარმოექმნათ კრუნჩხვები. თუ თქვენ ან თქვენს შვილს წარმოგექმნებათ ზემოაღნიშნული ჩვენებები, დაუყოვნებლივ მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს.

საკმაოდ გავრცელებული გვერდითი ჩვენებები:
აღნიშნული გვერდითი ჩვენებები შეიძლება წარმოექმნას 10 პაციენტიდან 1-ზე მეტს.

- SABRIL-ის მიმღები პაციენტების ერთ მესამედს (ან 100 პაციენტიდან 33-ს) შეიძლება წარმოექმნათ მხედველობის არის შეცვლა (მხედველობის არის შევიწროვება). „მხედველობის არის დარღვევამ“ შეიძლება გამოიწვიოს ტკივილები. მხედველობის არის შეცვლა შეიძლება აღარ განმეორდეს, ამიტომ, საჭიროა მისი დროულად თავიდან აცილება. თუ თქვენ ან თქვენს შვილს წარმოგექმნათ მხედველობის დარღვევა, დაუყოვნებლივ მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს.
- ბავშვებს შეიძლება წარმოექმნათ გაღიზიანების ან მოუსვენრობის მაგვარი ჩვენებები.
- დაღლილობა და ძილიანობა.

გავრცელებული გვერდითი ჩვენებები:
აღნიშნული გვერდითი ჩვენებები შეიძლება წარმოექმნას 10 პაციენტიდან 1-ზე ნაკლებს და 100 პაციენტიდან 1-ზე მეტს.

- თავის ტკივილი.
- წონაში მატება.
- კანკალი.
- შეშუპება.
- თავბრუსხვევა.
- დაბუჟება ან ჩხვლეტის შეგრძნება.
- კონცენტრაციის და მეხსიერების დარღვევა.
- შეიძლება წარმოიქმნას შფოთვის, შეტევის, გაღიზიანების, დეპრესიის, აზროვნების უნარის დარღვევის და უსაფუძვლო ეჭვიანობის (პარანოიას) მაგვარი ფსიქიკის დარღვევები. ზემოაღნიშნული გვერდითი ჩვენებები შეიძლება განმეორდეს პრეპარატის დოზის შემცირების და პრეპარატის მიღების ნელ-ნელა შეწყვეტის დროს. ამიტომ, ექიმთან კონსულტაციის გარეშე დოზის შემცირება არ არის რეკომენდირებული. ზემოაღნიშნული გვერდითი ჩვენებების წარმოქმნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს.
- გულისრევის შეგრძნება და მუცლის ტკივილი.
- ბუნდოვანი მხედველობის, საგნების გაორებულად დანახვის და თავბრუსხვევის გამომწვევი თვალის გაუკონტროლებელი მოძრაობები.
- მეტყველების მოშლა.

არ გავრცელებული გვერდითი ჩვენებები:
აღნიშნული გვერდითი ჩვენებები შეიძლება წარმოექმნას 100 პაციენტიდან 1-ზე ნაკლებს და 1000 პაციენტიდან 1-ზე მეტს.

- მოძრაობების არაკოორდინაცია ან მოუხერხებლობა.
- არაადეკვატური მოძრაობების გამომწვევი ეიფორია ან აღელვება და შფოთვა.
- კანზე გამონაყარი.

იშვიათი გვერდითი ჩვენებები:
აღნიშნული გვერდითი ჩვენებები შეიძლება წარმოექმნას 1000 პაციენტიდან 1-ზე ნაკლებს.

- სახის და ყელის დასივების გამომწვევი სერიოზული ალერგიული რეაქციები. ასეთი გვერდითი ჩვენებების წარმოქმნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს.
- ჭინჭრის ციება.
- მკვეთრად გამოხატული ძილიანობა (სედაცია), დაბუჟება (სტუპორი) და ტვინის არევა (კონფუზია). ზემოთ აღნიშნული გვერდითი ჩვენებები ძირითადად შეიძლება განმეორდეს დოზის გაზრდის და პრეპარატის მიღების ნელ-ნელა შემცირების დროს. აღნიშნული ჩვენებების წარმოქმნის შემთხვევაში, მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს.
- თვითმკვლელობის მცდელობა.
- თვალის ბადურის დაზიანების მაგვარი თვალის სხვა პრობლემები, მაგალითად, ღამის საათებში მხედველობის შემცირება, განათებული ადგილებიდან ჩაბნელებულ ადგილებში გადასვლის დროს, რთულად მიჩვევა, მხედველობის არის ნაპირებში მხედველობის დაკარგვა, სინათლეზე მგრძნობელობა.

ძალიან იშვიათი გვერდითი ჩვენებები:
აღნიშნული გვერდითი ჩვენებები შეიძლება წარმოექმნას 10.000 პაციენტიდან 1-ზე ნაკლებს.

- თვალის სხვა პრობლემების, მაგალითად, თვალის ტკივილის (ოპტიკური ნევრიტის) და ფერების დანახვის ჩათვლით, მხედველობის დაკარგვა (ოპტიკური ატროფია).
- ჰალუცინაციები (სინამდვილეში არ არსებული რამეების შეგრძნება, დანახვა ან გაგონება).
- ღვიძლთან დაკავშირებული პრობლემები.

უცნობი გვერდითი ჩვენებები:
ინფანტილური სპაზმების მკურნალობის ჩამტარებელ ჩვილ ბავშვებში მოძრაობების დარღვევები.

წინამდებარე ინსტრუქციაში გაუთვალისწინებელი ნებისმიერი გვერდითი ჩვენების წარმოქმნის შემთხვევაში, რჩევისთვის მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

5. SABRIL-ის შენახვა

შეინახეთ SABRIL ბავშვების ხელმიუწვდომელ ადგილზე თავის შეფუთვაში.

შეინახეთ SABRIL 30^{0}C-ზე ნაკლები ტემპერატურის პირობებში ორიგინალ შეფუთვაში.

პრეპარატი მოხმარებული უნდა იქნეს მისი ვარგისიანობის ვადის შესაბამისად.

შეფუთვაზე აღნიშნული ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ SABRIL-ის მოხმარება არ არის რეკომენდირებული.

ვადაგასული ან გამოუყენებელი პრეპარატების ნაგავში ჩაგდება არ არის რეკომენდირებული! გადაეცით პრეპარატები გარემოს დაცვის და ურბანიზაციის სამინისტროს.

ლიცენზიის მფლობელი: შპს „სანოფი საღლიქ ურუნლერი.“-ი.

ბიუიუქდრეეს გამზირი N 193, ლევენთი - შიშლი / სტამბოლი.

ტელეფონი: (212) 339 10 00

ფაქსი: (212) 339 10 89

წარმოების ადგილი: Patheon France S.A. 40,

Burgoin – Jallieu Cedex, საფრანგეთი.

წინამდებარე მოხმარების ინსტრუქცია დამტკიცებულია 25.07.2013 წელს.